საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

7

პოსტკომუნისტური საქართველოს ეკონომიკური განვითარების ვექტორის შესახებ

ვლადიმერ პაპავა

ექსპერტის აზრი

2013

GFSIS
საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ექსპერტის აზრი

ვლადიმერ პაპავა

პოსტკომუნისტური საქართველოს ეკონომიკური განვითარების ვექტორის შესახებ

7

2013

პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით.

რედაქტორი: რუსუდან მარგიშვილი

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე წიგნის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს ნებისმიერი, მათ შორის, ელექტრონული ან მექანიკური ფორმით.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი 2013 წელი

ISSN 1512-4835
ISBN 978-9941-0-5762-5

შესავალი

ერთიანი ხედვა იმ საკითხის შესახებ, თუ რა მიმართულებით უნდა განვითარებულიყო საქართველოს ეკონომიკა, რა მოდელს უნდა დაფუძნებოდა ის ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, სამწუხაროდ, დღემდე არ არის საბოლოოდ ჩამოყალიბებული. ერთგვარი იმედის მომცემი იყო „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი პერიოდი, როცა გააქტიურდა კიდეც ამ პრობლემის კვლევა და, შესაბამისად, გაჩნდა არაერთი საყურადღებო პუბლიკაცია.[1]

2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში კოალიცია „ქართული ოცნების“ გამარჯვებამ კვლავ აქტუალური გახადა საქართველოში არჩევანის პრობლემა, რადგანაც დღის წესრიგში ისევ დადგა საკითხი იმის შესახებ, თუ განვითარების რომელი ვექტორი უნდა იყოს განმსაზღვრელი „ნაციონალური მოძრაობის“ ცხრაწლიანი მმართველობის შემდეგ. ამ თემაზე უკვე გამოითქვა კიდეც პირველი მოსაზრებები.[2]

„ნაციონალური მოძრაობის“ ცხრაწლიანი მმართველობის შემდგომ პერიოდს „პოსტვარდისფერს“ ვუწოდებთ,[3] რაც იმით აიხსნება, რომ მმართველობის ავტორიტარულმა სტილმა, რომელიც დესპოტიზმის ელემენტებით იყო გაძლიერებული, სააკაშვილის რეჟიმი ნეობლოშევიკურად, ხოლო მისი მთავრობა „ვარდისფრად“ ორი მიზეზის გამო აქცია: ჯერ ერთი, „ვარდების რევოლუციით“ მივიდა ის ხელისუფლებაში, მეორე კი – გახუნებულ ბოლშევიკურ „წითელს“ გვახსენებდა.[4]

არჩევანის პრობლემის გამწვავებას ხელს უწყობს მიხეილ სააკაშვილისა და მისი გუნდის წევრების კრიტიკა ახალი მთავრობის მისამართით, რომლებმაც თითქოსდა უღალატეს დემოკრატიულ ფასეულობებს, ქვეყნის დასავლურ კურსს და გეზი რუსეთისაკენ აიღეს.[5]

სამართლიანობა მოითხოვს იმის აღნიშვნასაც, რომ ამგვარ კრიტიკას თავად ბიძინა ივანიშვილის მიერ გაკეთებული განცხადებებიც უწყობს ხელს, რომელთაც აშკარად დაჰკრავს მისი პოლიტიკური გამოუცდელობის ელფერი. ამ განცხადებების შემდეგ ბიძინა ივანიშვილს არაერთხელ მოუხდა მათი უარყოფა.

ასე, მაგალითად, მან ჯერ ეჭვი შეიტანა ბაქო-ყარსის რკინიგზის მშენებლობის მიზანშეწონილობაში,[6] ხოლო სულ მოკლე დროში თავადვე უკუაგდო ეს ეჭვები.[7]

ცალკე უნდა აღინიშნოს მთავრობის აშკარად მოუმზადებელი ინიციატივა ტრანსკავკასიური რკინიგზის (რომელიც რუსეთს საქართველოსთან, ხოლო შემდგომ სომხეთთან აკავშირებს და რომელმაც 1992 წელს აფხაზეთში მიმდინარე საომარი მოქმედებების შედეგად შეწყვიტა ფუნქციონირება) გახსნასთან დაკავშირებით,[8] რომელიც პრორუსული ორიენტაციის კონტექსტში მწვავედ გააკრიტკა მიხეილ სააკაშვილმა;[9] მოგვიანებით ბიძინა ივანიშვილმა ნაწილობრივ შეარბილა თავისი პოზიცია.[10]

ყველაზე დამაფიქრებელი იყო პრემიერ-მინისტრის სომხეთში ვიზიტისას გაკეთებული განცხადება, რომლის თანახმადაც, „სომხეთი საქართველოსთვის კარგი მაგალითია ერთდროულად ნორმალური ურთიერთობები იქონიოს ნატოსთან და რუსეთთან“, რასაც ნაციონალების მხრიდან მძაფრი კრიტიკა მოჰყვა.[11] მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პარლამენტმა, რომლის უმრავლესობასაც კოალიცია „ქართული ოცნება“ ქმნის, მიიღო რეზოლუცია საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ, რომელშიც კიდევ ერთხელ არის დადასტურებული საქართველოს პროდასავლური განვითარების კურსი,[12] „ნაციონალური მოძრაობა“ ყველანაირად ცდილობს დაამკვიდროს აზრი, რომ მხოლოდ ის არის საქართველოში ევროპული ფასეულობების მატარებელი ერთადერთი პროდასავლური ძალა.[13]

იმისათვის, რომ უკეთ გავერკვეთ, თუ რა არჩევანის წინაშე დგას „პოსტვარდისფერი“ საქართველო, აუცილებელია გავაანალიზოთ „ვარდისფერი“ ხელისუფლების მიერ გატარებული ეკონომიკურ პოლიტიკა, განსაკუთრებით – მისი ევროპული ორიენტაციის კუთხით.

ეკონომიკური განვითარების ევროპული გზა

პოსტკომუნისტურ სივრცეში არაერთი წარმატებული ქვეყანაა, რომელმაც შეძლო ევროპული ტიპის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა და ევროკავშირშიც არის გაწევრიანებული. არიან ნაკლებწარმატებული თუ საერთოდ წარუმატაბელი ქვეყნებიც, სადაც ასეთი ტიპის საბაზრო ეკონომიკაზე საუბარიც

კი ზედმეტია.[14] რაც შეეხება მათ ევროკავშირში წევრობას, ეს ან საერთოდ არ წარმოადგენს მათ მიზანს, ან, უკეთეს შემთხვევაში, შეიძლება მოიაზრებოდეს შედარებით შორეულ პერსპექტივაში.

აშკარაა, რომ საქართველო ჯერჯერობით არ არის მზად ევროკავშირში გასაწევრიანებლად, მაგრამ საკითხი იმის შესახებ, თუ რეალურად საით მივდივართ, იმისდა მიუხედავად, რომ ოფიციალურ განცხადებებში აქცენტი სწორედ ევროატლანტიკურ სტრუქტურებზეა გაკეთებული, აქტუალურობას სულაც არ არის მოკლებული. ამ მარავალწახნაგოვანი კითხვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი საქართველოს ეკონომიკის განვითარების ორიენტირია, რადგანაც თუკი გვინდა საქართველო ოდესმე ევროპის განუყოფელ ნაწილად იქცეს, აუცილებელია ქვეყნის ეკონომიკის ევროპული ტიპის საბაზრო ეკონომიკის მიმართულებით ტრანსფორმაცია.[15]

ევროკავშირის ეკონომიკურ მოდელზე მსჯელობა არც ისე ადვილია, რადგანაც ის თავად არის ფორმირების პროცესში. ცნობილი ფრანგი ეკონომისტის მიშელ ალბერის თანახმად, ევროკავშირში ერთმანეთს „უპირისპირდება“ კაპიტალიზმის ორი, ანგლოამერიკული და „რეინის“ (ანუ გერმანული-იაპონური), მოდელი[16].

ეკონომიკის ანგლოამერიკულ მოდელში აქციონერული საკუთრების ხელიდან ხელში გადასვლა სწრაფად და დაბრკოლებების გარეშე ხდება, ბირჟა გადამწყვეტ როლს ასრულებს კომპანიათა დაფინანსებაში, აქციათა 40-60 პროცენტს ინსტიტუციური ინვესტორები (კერძოდ, სადაზღვევო და საპენსიო ფონდები) ფლობენ. ამასთან, სახელმწიფო სექტორი შედარებით მცირე მასშტაბისაა, სოციალური პოლიტიკა კი სიღარიბისა და უთანასწორობის საკითხის მიმართ ლიბერალური მიდგომით გამოირჩევა, რომლის თანახმადაც, უთანასწორობა კონკურენციის ხელშემწყობ სტიმულად აღიქმება, ხოლო სიღარიბე არა იმდენად სახელმწიფოს, რამდენადაც მორალისა და მოწყალების პრობლემაა და კერძო ქველმოქმედების სფეროს განეკუთვნება.

რეინის მოდელში აქციონერ მესაკუთრეთა შემადგენლობა სტაბილურობით გამოირჩევა, აქციონერულ საწარმოთა დაფინანსებაში განსაკუთრებული როლი საბანკო სექტორს აქვს, ხოლო საფინანსო ბაზრები შედარებით შეზღუდული და ნაკლებად აქტიური არიან. ამასთან, სახელმწიფო რეგულირების სფერო რეინის

მოდელში საკმაოდ ფართოა, სახელმწიფოს როლი მთლიანი შიგა პროდუქტის გადანაწილებაში, კონკურენციის თანაბარი პირობების უზრუნველყოფასა და სოციალურ ამოცანათა გადაჭრაში ძალზე დიდია.

საყურადღებოა, რომ ევროკავშირის მთელ რიგ ქვეყნებში ანგლოამერიკული მოდელის რეინის მოდელზე ზეწოლის პირობებში ხდება მათი თანდათანობითი შერწყმა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირის ქვეყნებს არ გააჩნიათ ერთიანი ეკონომიკური მოდელი და რომ უფრო კორექტულია ვილაპარაკოთ საერთო ეკონომიკურ მოდელზე, რომელიც ვერ უზრუნველყოფს სრულ უნიფიკაციას.[17] ამასთან, ხაზგასასმელია, რომ ევროკავშირში მიმდინარე ინტეგრაციული პროცესები სწორედ უნიფიკაციის მნიშვნელობის გაფართოებაზეა ორიენტირებული, რისი თვალსაჩინო მაგალითია საერთო ბაზრიდან ერთიან ბაზარზე გადასვლა, რაც, თავის მხრივ, ეკონომიკური და სავალუტო კავშირის ფორმირების საფუძველი გახდა.

ევროკავშირის ერთ-ერთი ფუძემდებლური პრინციპია „მიღწეულის შენარჩუნება“, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ევროკავშირში გაწევრიანების კანდიდატი ქვეყნისათვის: ევროკავშირში ერთიანი მოდელის ფორმირების გზაზე ყოველივე, რა დონეზეც არის უნიფიცირებული კანდიდატი ქვეყნისათვის, უპირობოდაა შესასრულებელი.

ფორმალური ნიშნით თანამედროვე საქართველოსათვისაც დამახასიათებელია ხსენებული ორივე მოდელის ელემენტების თანაარსებობა და დაპირისპირება. კერძოდ, საწარმოთა დაფინანსებასა და მათ მესაკუთრეთა ფორმირებაში აშკარად რეინის მოდელს ენიჭება უპირატესობა, რაც საფინანსო ბაზრების შეზღუდულობასა და არააქტიურობაში გამოიხატება და რაც სახელმწიფოს მიერ გატარებული ოფიციალური კურსის შედეგია.[18] ამასთან, სახელმწიფო რეგულირების სფერო საქართველოში საკმაოდ შეზღუდულია და ქმნის იმის ილუზიას, თითქოს ეს ანგლოამერიკული მოდელის სქემაში ჯდებოდეს. ყველაზე მკაფიოდ ეს იკვეთება სიღარიბისა და უთანასწორობის საკითხის მიმართ სახელმწიფო პოლიტიკაში, რაც გარკვეული გულგრილობით (რასაც, ყოვლად გაუმართლებლად, ჩვენში რატომღაც ლიბერალიზმს უწოდებენ) გამოირჩევა,[19] როცა უთანასწორობა რეალურად არც არის ხელისუფლების საზრუნავი, ხოლო სიღარიბის დაძლევა

კი უმთავრესად იძულებითი (სახელმწიფოს მხრიდან) კერძო ქველმოქმედების სფეროს განეკუთვნება.

2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ევროკავშირმა საქართველოსათვის თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის შეთავაზების მზადყოფნა გამოხატა,[20] თუმცა წინასწარ რიგი პირობების შესრულებაც მოითხოვა. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბაზრის რეგულირების ევროპული ტიპის ანტიმონოპოლიური ინსტიტუტების შექმნა და მომხმარებელთა უფლებების დაცვა, კერძოდ კი — სასურსათო უსაფრთხოების ნაწილში. სამწუხაროდ, „ვარდისფერმა“ მთავრობამ, ამ პირობების დაკმაყოფილების შეფერხების გზით,[21] ევროკავშირთან მოლაპარაკების პროცესის დაწყების გასაჭიანურებლად ძალა არ დაიშურა.

როგორც ცნობილია, ევროინტეგრაციის პირველი ეტაპი სწორედ ეკონომიკურ ინტეგრაციას ეფუძნება. სამწუხაროდ, „ვარდისფერმა“ მთავრობამ ბრიუსელის ამ მიმართულებით განხორციელებულ შემოთავაზებას ფაქტობრივად ზურგი შეაქცია.

ასეთ ვითარებაში სავსებით ლოგიკურად იბადება კითხვა, თუ საით მიჰყავდა „ვარდისფერ“ მთავრობას ქვეყანა. მთავრობის მიერ გადადგმული ეკონომიკური ნაბიჯებიდან აშკარად იკვეთება მოძრაობა სამი მიმართულებით, რაზეც ცალკე უნდა შევაჩეროთ ყურადღება.

ეკონომიკური განვითარების რუსეთისკენ მიმავალი გზა

პოსტრევოლუციურ საქართველოში აშკარად გაძლიერდა ე.წ. „რუსული ვექტორი“, რაც საქართველოს რუსეთის ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაციისაკენაა მიმართული.

პრობლემის არსში გასარკვევად აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ 2003 წლის 1 ოქტომბერს რუსეთის ერთ-ერთ წამყვან გაზეთში, „ნეზავისიმაია გაზეტაში“, დაიბეჭდა ცნობილი რუსი პოლიტიკოსისა და ეკონომისტის, ელექტროენერგეტიკული გიგანტის, „რაო ე-ეს“-ის ხელმძღვანელის, ანატოლი ჩუბაისის წერილი სათაურით „რუსეთის მისია XXI საუკუნეში“, რომელშიც გატარებულია აზრი პოსტსაბჭოთა სივრცეში ე.წ. „ლიბერალური იმპერიის“ შექმნის შესახებ.[22] სიტყვა „ლიბერალურს“ ის დატვირთვა აქვს, რომ ახალი იმპერიის შექმნა უნდა მოხდეს არა ძალადობის

გზით, არამედ რუსულმა მსხვილმა კომპანიებმა (სულერთია – სახელმწიფო თუ კერძო) ხელთ უნდა იგდონ ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების ტერიტორიაზე არსებული სტრატეგიული საწარმოები, რამაც საბოლოო ჯამში ამ ქვეყნებზე მოსკოვის პოლიტიკური ზეგავლენის ზრდა უნდა უზრუნველყოს.

კავკასიაში ლიბერალური იმპერიის შექმნა რუსეთმა დაიწყო სომხეთით, როცა უკანასკნელმა 93 მილიონი აშშ დოლარის ვალის სანაცვლოდ 2002 წელს (საყურადღებოა, რომ სომხეთში საპრეზიდენტო არჩევნების წინ) რუსეთს საკუთრებაში გადასცა შესაბამისი ღირებულების ობიექტები. 2006 წლის დასაწყისში კი მომდევნო ნაბიჯი გადაიდგა, როცა გაზის გაორმაგებული ფასის ძველ დონეზე შენარჩუნების მიზნით რუსეთის ხელში ახალი აქტივები გადავიდა.[23]

იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთსა და სომხეთს საერთო საზღვარი არ გააჩნია ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნის გზაზე, განსაკუთრებული როლი, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის არსებული კონფლიქტის გათვალისწინებით, საქართველოს ენიჭება. საქართველოს ლიბერალური იმპერიის ქსელში მოქცევის შემდეგ კი გადაწყვეტილი იქნება აზერბაიჯანის ბედიც, ვინაიდან მისი სტრატეგიული ეკონომიკური პროექტები უშუალოდაა საქართველოსთან დაკავშირებული.

საქართველოს მოქცევა ლიბერალური იმპერიის ქსელში ჯერ კიდევ 2003 წლის ზაფხულში დაიწყო, როცა გაკოტრებული ამერიკული კომპანიის „ეი-ი-ეს სილქ როუდ“-ის აქციები „რაო ე-ეს“-მა შეიძინა.

ვარდების რევოლუციის შემდეგ ფართომასშტაბიანი პრივატიზაციის პროცესში რუსული კაპიტალის შემოსვლას საქართველოს ეკონომიკაში მთავრობისგან სრული მხარდაჭერა ჰქონდა. ამის საუკეთესო მაგალითი იყო ოქროსა და სპილენძის მომპოვებელი და გადამამუშავებელი საწარმოების აქციების საკონტროლო პაკეტის რუსული ჰოლდინგის „პრომიშლენნიე ინვესტორის“ მიერ დაფუძნებული კომპანია „სტეტონ ეკვიტიზისათვის“ მიყიდვა.[24]

რუსული კაპიტალისადმი საქართველოს მთავრობის კეთილგანწყობით გამხნევებულმა, კარგა ხნის წინ პრივატიზებული „გაერთიანებული ქართული ბანკის“ მესაკუთრეებმა აქციათა საკონტროლო პაკეტი მიჰყიდეს რუსულ „ვნეშტორგბანკს“,

რომლის აქციათა 99 პროცენტი რუსეთის მთავრობის ხელთაა. პრაქტიკულად, განხორციელდა გაერთიანებული ქართული ბანკის ნაციონალიზაცია, ოღონდ არა საქართველოს, არამედ რუსეთის მთავრობის სასარგებლოდ. საყურადღებოა, რომ საქართველოში შემოსვლამდე ცოტათი ადრე „ვნეშტორგბანკმა“ სომხური „არმსბერბანკის“ აქციათა საკონტროლო პაკეტი შეიძინა.[25]

განსაკუთრებული და თანაც აშკარა აგრესიულობით გამოირჩეოდა „გაზპრომი“, რომელმაც რუსეთ-სომხეთის დამაკავშირებელი მაგისტრალური გაზსადენის ხელში ჩაგდება გადაწყვიტა. 2005 წლის ბოლოს და 2006 წლის დასაწყისში საქართველოს მთავრობამ ამ გაზსადენის ვითომდა პრივატიზაციის კონტექსტში მოლაპარაკებაც კი დაიწყო „გაზპრომთან“, თუმცა აბსოლუტურად გაუგებარია, რუსული სახელმწიფო კომპანია „გაზპრომისათვის“ გაზსადენის მიყიდვა რატომ უნდა ყოფილიყო პრივატიზაციად მონათლული.

საქართველოს მთავრობასა და „გაზპრომის“ გარიგება მხოლოდ მას შემდეგ ჩაიშალა, რაც ამ პროცესში ამერიკელები ჩაერიენ აქტიურად და ამით რუსეთმა პირველი სერიოზული დარტყმა მიიღო ლიბერალურ იმპერიაში საქართველოს სრულად მოქცევის გეგმის განხორციელებაში.[26]

საყურადღებოა, რომ არც 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომს შეუშლია ხელი „ვარდისფერი“ მთავრობისათვის საქართველოს რუსეთის ლიბერალურ იმპერიაში ჩართვის პროცესის გაგრძელებაში. ამის თვალსაჩინო მაგალითია 2011 წლის 1 აპრილს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და რუსულ კომპანია „ინტერ რაო ე-ეს“-ს შორის დადებული ახალი ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, „ხრამჰესი-1“ და „ხრამჰესი-2“ 104 მილიონი აშშ დოლარის სანაცვლოდ რუსულ კომპანიას საკუთრებაში გადაეცა; გარდა ამისა, კომპანია „ინტერ რაო ე-ეს“-ს მიეცა უფლება მდინარე ხრამზე დამატებით კიდევ სამი ელექტროსადგური ააშენოს, რისი ჯამური ინვესტიციაც 193 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს.[27]

მართალია, საქართველოს რუსეთის ლიბერალურ იმპერიაში მოქცევის პროცესი ვარდების რევოლუციამდე დაიწყო, მაგრამ განსაკუთრებული ინტენსივობით ეს პროცესი სწორედ „ვარდისფერი“ მთავრობის მიერ წარიმართა.

„ვარდისფერი“ მთავრობის თვითშემოქმედება

საქართველოს ეკონომიკაში გადადგმულ ცალკეულ ნაბიჯებს, რომლებიც არა მარტო ეკონომიკურ თეორიას, არამედ ელემენტარულ საღ აზრს ეწინააღმდეგება, ძნელია მოეძებნოს რაიმე დასაბუთება და, მით უფრო, გამართლება.

ამ ტიპის ეკონომიკურ ნაბიჯებში განსაკუთრებით გამოირჩევა 2006 წელს წამოწყებული დასაქმების 50 ათასი კაცით გაზრდის სამთავრობო ღონისძიება, რომლის თანახმადაც, მეწარმეებს იმპერატიული ტონით ეთხოვათ სამი თვის განმავლობაში დაესაქმებინათ უმუშევრები, რომლებიც ამისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდნენ თვეში 150 ლარის ოდენობით, ანუ საერთო ჯამში ამ ღონისძიებაზე ბიუჯეტიდან გამოიყო 22,5 მლნ. ლარი. აშკარაა, რომ ნებისმიერ მეწარმეს, თუკი სურვილი აქვს გააფართოვოს ბიზნესი, არ ესაჭიროება უშუალო დახმარება ბიუჯეტიდან. მთავრობამ კი ხელი შეუწყოს პროფესიული მომზადება-გადამზადების სისტემის განვითარებას, რაც საქართველოს მთავრობამ სავსებით სამართლიანად აიღო თავის თავზე.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან დახარჯული 22,5 მლნ. ლარის შედეგად ერთეულები მართლა დასაქმდნენ, უმრავლეს შემთხვევაში კი მოხდა ჩვეულებრივი გარიგება: მეწარმეები თანახმა იყვნენ ხელი მოეწერათ ნებისმიერ დოკუმენტზე, თითქოსდა კონკრეტული პირი სამსახურში დადიოდა და რაღაცას აკეთებდა. უმუშევარიც კმაყოფილი დარჩა, რადგან ის 450 ლარს არაფერში იღებდა. უფრო მახინჯი სიტუაციებიც დაფიქსირდა — ზოგი მეწარმე ხელს მხოლოდ იმ შემთხვევაში უწერდა შესაბამის დოკუმენტზე, თუ უმუშევარი მას თანხის ნახევარს მისცემდა.

საბოლოო ჯამში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დასაქმების ზრდის ხელშეწყობისათვის გამოყოფილი 22,5 მლნ. ლარის შინაარსობრივი დატვირთვა უმთავრესად უმუშევართათვის შემწეობის გაღებით გამოიხატა. მაშასადამე, ამ ტიპის ეკონომიკური ღონისძიება ვერანაირად უზრუნველყოფს დასახული მიზნის მიღწევას, რაც არ უნდა კეთილშობილური იყოს ეს მიზანი.[28] ამგვარი პროგრამა მთავრობამ მეორეჯერ 2007 წლის ბოლოს წამოიწყო, თუმცა 2008 წლის დასაწყისში თავადვე შეაჩერა.

ინსტიტუციური ხასიათის განსაკუთრებული ნონსენსია

სახელმწიფო სტატისტიკის უშუალო დაქვემდებარება-დამორჩილება მთავრობისადმი, როცა უკანასკნელი სრულად აკონტროლებდა საჯაროდ გამოქვეყნებულ სტატისტიკურ ინფორმაციას. ბუნებრივია, მთავრობას ყოველთვის აქვს ცდუნება, რომ სტატისტიკამ მისთვის სასურველი ინფორმაცია აჩვენოს. აქედან გამომდინარე, სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ობიექტურობაზე ლაპარაკი შეუძლებელი იყო.[29]

კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის კონტექსტში გაუქმდა არაერთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი (მაგალითად, ანტიმონოპოლიური სამსახური ან საკვები პროდუქტების ხარისხის კონტროლის სამსახური), რამაც, ერთი მხრივ, მოსახლება დააზარალა, ხოლო, მეორე მხრივ კი, სახელმწიფო დააკნინა.

საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის კონტექსტში განსაკუთრებით შემაშფოთებელი იყო დეპრივატიზაციის პროცესი, როცა პრივატიზებული ობიექტები პრივატიზაციის პროცესში დაშვებული (რაც ცალკეულ შემთხვევაში არც კი იყო დასაბუთებული) შეცდომების გამოსწორების საბაბით ჩამოერთვა კერძო მესაკუთრეს და დაუბრუნდა სახელმწიფოს ხელახალი პრივატიზაციის მიზნით.[30] სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კერძო საკუთრების ინსტიტუტის ფორმირება თავიდან დაიწყო, რაც ამ ინსტიტუტის დაუცველობაზე მეტყველებს. თავის მხრივ კი, საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბება და განვითარება კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის გარანტიების გარეშე შეუძლებელია.

სამწუხარო ფაქტია, მაგარამ ამგვარი ტიპის ღონისძიებები არცთუ იშვიათი იყო „ვარდისფერი“ მმართველობის საქართველოში.[31]

ეკონომიკური განვითარების აღმოსავლური გზა

ქვეყანაში გატარებულ ნებისმიერ ღონისძიებას ყოვლად დაუსაბუთებლად ეწოდება რეფორმა, თუმცა ზემოთ მოყვანილი მაგალითები თვალსაჩინო დადასტურებაა იმისა, რომ ზოგიერთი ღონისძიება თავისი არსით უფრო ნონსენსია.

ყოველივე ზემოთქმულის ფონზე აშკარად თვალშისაცემია ისეთი ღონისძიებები, რომლებიც მკაფიოდ ჩამოყალიბებული რეფორმატორული ხასიათისა იყო.[32] ეს, უწინარეს ყოვლისა, ეხება ე.წ. დერეგულირების სფეროს, რის შედეგადაც სახელმწიფოს ბიზნესში ჩარევის კანონიერი საფუძველი არსებითად შეიზღუდა,

რაც სხვადასხვა სახეობის ნებართვებისა და შემოწმებათა სფეროს მნიშვნელოვან შემცრებაში გამოიხატა. ძალზე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საგადასახადო განაკვეთების შემცირებასაც, რამაც მეწარმეებს საგადასახადო ტვირთი არსებითად შეუმსუბუქა. ქვეყნის კონკურენტუნარიანობის დონის ამაღლების მიმართულებით წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს იმპორტზე გადასახადების მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებსა და სამშენებლო მასალებზე დატოვება, და ისიც, შემცირებული ოდენობით.

რევოლუციური დატვირთვისა იყო შრომის კოდექსი, რითიც დაქირავებულთა უფლებების შეზღუდვის ხარჯზე არსებითად გაიზარდა დამქირავებელთა უფლებები. მართალია, ეს ბიზნესის განვითარებას უწყობს ხელს, მაგრამ იმავდროულად თითოეული დაქირავებული თავს აშკარად დაუცველად გრძნობს.[33]

თუკი თვალს გადავავლებთ საერთაშორისო გამოცდილებას, ამ ტიპის რეფორმები, პირველ რიგში, საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთი აზიის (ჰონკონგი, სინგაპური), ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის ეკონომიკურ მოდელებთან აახლოებდა. აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ „ვარდისფერი“ მთავრობა არც მალავდა იმას, რომ უნდოდა საქართველო სინგაპურს,[34] დუბაისა და ჰონკონგს[35] დამსგავსებოდა. პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადებით, საქართველო სინგაპურის მოდელით უნდა განვითარებულიყო[36] ან, სულ ცოტა, შეიძლება ყოფილიყო ევროპულ მოდელთან „ნაჯვარი“.[37]

აქედან გამომდინარე გასაკვირი არ უნდა იყოს, თუ რატომ შეიძლება შეფასდეს საქართველოში მიმდინარე ეს რეფორმები აღმოსავლეთისაკენ მიმავალ გზად.

ლიბერალიზმის „ვარდისფერი“ ვერსია

ზემოჩამოთვლილი სამივე გზა აშკარად გამორიცხავდა საქართველოს ევროპულ არჩევანს. იმის გასაგებად, თუ რა აერთიანებს ამ სამ გზას, აუცილებელია ე.წ. ლიბერალიზმის „ვარდისფერი“ გაგების გააზრება.

კიდევ ერთხელ ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოში კორუფციასთან ბრძოლა დაიწყო,[38] რის შედეგადაც საბიუჯეტო და ენერგეტიკული კრიზისები დაიძლია. 2005 წლიდან, ახალი საგადასახადო კოდექსის წყალობით, საგადასახადო ტვირთი

მნიშვნელოვნად შემცირდა, ბიზნესის წამოსაწყებად საჭირო პროცედურები არსებითად გამარტივდა, ძალაში ახალი შრომითი კანონმდებლობა შევიდა, რომელმაც დაქირავებულებთან ურთიერთობებში დამქირავებლებს სრული თავისუფლება მიანიჭა.[39] ამან საქართველოს ნეოლიბერალური რეფორმების გამტარებელი ქვეყნის იმიჯი შეუქმნა.[40]

ამავდროულად დაფიქსირდა საკუთრების უფლების შელახვის უამრავი ფაქტი,[41] მსხვილი ბიზნესის კონტროლი მთლიანად მთავრობის ხელში გადავიდა;[42] ანტიმონოპოლიური კანონმდებლობისა და შესაბამისი სამსახურის გაუქმებამ ეკონომიკის მძლავრი მონოპოლიზაცია გამოიწვია,[43] ხოლო მასობრივი კორუფციის გაქრობას, რაც ძირითადად მექრთამეობაში გამოიხატებოდა, ელიტარული კორუფციის შემაშფოთებელი მასშტაბები მოჰყვა.[44]

თავისი ხასიათით ეს დარღვევები ნეობოლშევიზმის სადარია და საქართველოს ეკონომიკა სააკაშვილის მთავრობის ხელში „ნეოლიბერალური ფანტაზია“[45], „ავტორიტარული ლიბერალიზმი“[46], „ნეოლიბერალიზმისა და ნეობოლშევიზმის სიმბიოზი“[47] უფრო იყო.

მაშასადამე, „ვარდისფერი“ მთავრობის წევრების ლიბერალიზმი ძირითადად შემდეგში გამოიხატება: ერთნი „ლიბერალის“ სახელს სახელმწიფო ინსტიტუტების ნგრევისათვის იხვეჭდნენ, ხოლო მეორენი (შეიძლება იგივენიც კი) „ლიბერალის” ტიტულს საქართველოს რუსეთის ლიბერალურ იმპერიაში შეყვანით იმსახურებდნენ.

დასკვნის მაგიერ

2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგების გათვალისწინებით, „ვარდისფერი“ მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური პოლიტიკის გაგრძელების ალბათობა ფაქტობრივად ნულს გაუტოლდა. საარჩევნო კამპანიისას კოალიცია „ქართული ოცნება“, აკრიტიკებდა რა სააკაშვილის მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკას, აქცენტს, მოსახლეობის ღარიბი ფენის სოციალური მხარდაჭერის პარალელურად, ეკონომიკის რეალური სექტორის განვითარების სტიმულირებაზე აკეთებდა.[48]

დღევანდელი გადასახედიდან უფრო რეალისტურად, ევროკავშირთან თავისაუფალი ვაჭრობის რეჟიმის მიღწევის

მიზნით, ბრიუსელთან მოლაპარაკებათა პროცესის დაჩქარების სცენარი გამოიყურება.[49] ამის იმედს ახალი ხელისუფლების მიერ ანტიმონოპოლიური რეგულირებისა[50] და მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული ტიპის სისტემის შემოღების თაობაზე გაკეთებული განცხადებები იძლევა.

ანტიმონოპოლიური რეგულირება კონკურენციის განვითარებას შეუწყობს ხელს. ბიზნესის განვითარებისთვის დიდი ბიძგის მიმცემი, ბიზნესში არაფორმალურ ჩარევაზე უარის თქმასთან ერთად (რაც „ქართული ოცნების“ ლიდერებმა არაერთხელ განაცხადეს მკაფიოდ)[51], უნდა გახდეს საქართველოს ეკონომიკის დემონოპოლიზაცია.

საქართველოს ეკონომიკის განვითარება ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის დამყარების და ევროკავშირში ექსპორტის ზრდის საფუძველზე საკმაოდ რეალისტურად გამოიყურება.

ამავდროულად ხაზი უნდა გაესვას ერთ გარემოებას, რამაც შესაძლოა სირთულეები შეუქმნას საქართველოს ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის დასამყარებლად, რადგანაც ერთობ გაუგებარი სიტუაცია შეიქმნა შრომის კოდექსში შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით: მთავრობამ პარლამენტში წარადგინა შრომის კოდექსში შესატანი იმგვარი ცვლილებების კანონპროექტი, რომლეთა თანახმადაც დაქირავებულთა უფლებები უნდა გაზრდილიყო, თუმცა მოგვიანებით თავადვე გააკრიტიკა საკუთარი გადაწყვეტილება და „ვარდისფერი“ მთავრობის მიერ მიღებული შრომითი კოდექსის მხოლოდ „კოსმეტიკურ შელამაზებაზე“ აიღო ორიენტაცია.[52]

გაურვეველი რჩება რუსეთთან ურთიერთობის მომავალი, როგორც ზოგადად,[53] ისე ეკონომიკური კუთხითაც. მართალია, გამოიკვეთა ქართული წარმოების პროდუქციის რუსეთის ბაზარზე დაბრუნების შესაძლებლობა, მაგრამ საყურადღებოა, რომ ნაკლებად ექვემდებარება პროგნოზებს რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობების სრული მასშტაბით აღდგენის შესაძლებლობა,[54] ვინაიდან ეს საკითხი უფრო პოლიტიკური ხასიათისაა, ვიდრე ეკონომიკური.[55]

აშკარაა, რომ საქართველოს მთავრობისთვის პირველი რიგის ამოცანა ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის მიღწევა და ყველა იმ პოტენციური შესაძლებლობის ამოქმედებაა, რასაც ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაცია მოიტანს.

ამისათვის კი „პოსტვარდისფერ“ ხელისუფლებას დასჭირდება უფრო მეტი თანმიმდევრულობა, როგორც ზოგადად პოლიტიკაში, ისე, კონკრეტულად, ეკონომიკურ პოლიტიკაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1 დე ვაალი, თ. *საქართველოს არჩევანი. მომავლის დაგეგმვა გაუტკვევლობის პერიოდში.* ვაშინგტონი: Carnegie Endowment for International Peace, 2011, http://carnegieendowment.org/files/georgias_choices__georgian.pdf; სამსონი, ი. „განვითარების გზის ძიება: საქართველოს ამოცანები“, *საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები*, 2006, № 4, მარტი; Beridze, T. "The National Economic Model and Globalization (the Case of Georgia)," in *Georgia in Transition*, L. King, and G. Khubua, eds. Frankfurt am Main: Peter Lang, 2009; Gegeshidze, A. and Papava V. "Post-War Georgia Pondering New Models of Development," *Central Asia-Caucasus Analyst*, 2009, Vol. 11, No. 1, January 14, www.cacianalyst.org/?q=node/5012; Gogolashvili, K. "In Search of Georgia's Economic Model," in *South Caucasus – 20 Years of Independence*. Tbilisi: Friedrich-Ebert-Stiftung, 2011, http://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/08706.pdf.

2 გეგეშიძე, ა. *საქართველოს საგარეო-პოლიტიკური გამოწვევები საშუალოვადიან პერსპექტივაში.* ექსპერტის აზრი № 5, http://gfsis.org/media/download/library/articles/Expert_Opinion_GEO_5.pdf. თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და სერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, 2013; თარხან-მოურავი, გ. „ეროვნული მშენებლობის პერსპექტივები საქართველოში: მომდევნო რვა წელი“, წიგნში: *საქართველო საშუალოვადიან პერსპექტივაში: სახელმწიფო, პოლიტიკა, ეკონომიკა, საზოგადოება.* თბილისი: „საერთაშორისო განგაში“, 2013; პაპავა, ვ. *„პოსტვარდისფერი“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების ძირითადი გამოწვევები.* ექსპერტის აზრი № 4, http://gfsis.org/media/download/library/articles/Expert_Opinion_GEO_4.pdf. თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და სერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2013; ხაინდრავა, ი. „ქვეყნის მართვა და მოდერნიზაცია: გამოცდილება და გამოწვევები“, წიგნში: *„საქართველო საშუალოვადიან პერსპექტივაში: სახელმწიფო, პოლიტიკა, ეკონომიკა, საზოგადოება.* თბილისი: "საერთაშორისო განგაში“, 2013.

3 პაპავა, ვ. *„პოსტვარდისფერი“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების ძირითადი გამოწვევები.*

4 Papava, V. "US Elections: Hopes and Expectations from a 'Post-Rosy' Georgia," *Open Democracy*, October 23, 2012, www.opendemocracy.net/od-russia/vladimer-papava/us-elections-hopes-and-expectations-from-%E2%80%98post-rosy%E2%80%99-georgia.

5 „ბოკერია ივანიშვილს აკრიტიკებს“, *Civil.Ge*, 23 ნოემბერი, 2012, http://

civil.ge/geo/article.php?id=26243; „სააკაშვილი ნატოში ინტეგრაციის გზაზე საქართველოს შეფერხებაზე საუბრობს“, *Civil.Ge*, 6 დეკემბერი, 2012, http://civil.ge/geo/article.php?id=26303; „სააკაშვილი: „ჩვენ დავაბრუნებთ ქვეყანას განვითარების, აღმშენებლობის და ხალხის საკეთილდღეო რელსებზე“, *Civil.Ge*, 20 დეკემბერი, 2012, http://civil.ge/geo/article.php?id=26353; „სააკაშვილი ივანიშვილის მიერ PACE-ში გაკეთებულ რამდენიმე განცხადებას აკრიტიკებს“, *Civil.Ge*, 24 აპრილი, 2013, http://civil.ge/geo/article.php?id=26806; „სააკაშვილი პრემიერ-მინისტრის ‘საშიშ’ განცხადებას აკრიტიკებს“, *Civil.Ge*, 27 აპრილი, 2013, http://civil.ge/geo/article.php?id=26821.

6 „ივანიშვილი აცხადებს, რომ ბაქო–ყარსის რკინიგზის მშენებლობა ‘კითხვებს ბადებს’“, *Civil.Ge*, 21 დეკემბერი, 2012, http://civil.ge/geo/article.php?id=26367.

7 „ივანიშვილი: ‘ბაქო–ყარსის რკინიგზის მშენებლობას საფრთხე არ ემუქრება’”, *Civil.Ge*, 24 დეკემბერი, 2012, http://civil.ge/geo/article.php?id=26376; ”ივანიშვილი მიესალმა ბაქოსთან ‘მეგობრულ’ მოლაპარაკებებს“, *Civil.Ge*, 27 დეკემბერი, 2012, http://civil.ge/geo/article.php?id=26390.

8 „ივანიშვილი: სომხეთთან ურთიერთობებში პრობლემები არ არსებობს“, *Civil.Ge*, 17 იანვარი, 2013, http://civil.ge/geo/article.php?id=26448.

9 „სააკაშვილი აფხაზეთის გავლით რკინიგზის გახსნის წინააღმდეგია“, *Civil.Ge*, 17 იანვარი, 2013, http://civil.ge/geo/article.php?id=26450.

10 „ივანიშვილი: ‘ჩვენ ძალიან ფრთხილად ვეკიდებით აფხაზეთის რკინიგზის საკითხს’“, *Civil.Ge*, 14 მარტი, 2013, http://civil.ge/geo/article.php?id=26659.

11 „ნაციონალური მოძრაობა აკრიტიკებს ივანიშვილის განცხადებას ნატოსა და რუსეთთან ურთიერთობებზე“, *Civil.Ge*, 18 იანვარი, 2013, http://civil.ge/geo/article.php?id=26455.

12 „ორმხრივი თანხმობით საგარეო პოლიტიკაზე მიღებული რეზოლუცია“, *Civil.Ge*, 7 მარტი, 2013, http://civil.ge/geo/article.php?id=26644.

13 „ნაციონალურმა მოძრაობამ აქციისას „განახლებაზე“ გააკეთა აქცენტი“, *Civil.Ge*, 20 აპრილი, 2013, http://civil.ge/geo/article.php?id=26791.

14 Papava, V. ”Economic Transition to European or Post-Communist Capitalism?,” *European Association for Comparative Economic Studies (EACES) Working Papers*, 2006, No. 1, March, www.eaces.net/news/WP-1-06.pdf.

15 Papava, V. and Tokmazishvili M. “Becoming European. Georgia’s Strategy for Joining the EU,” *Problems of PostCommunism*, 2006, Vol. 53, No. 1.

16 Albert, M. *Capitalisme contre capitalisme*. Paris: Editions du Seuil, 1991.

17 იქვე.

18 Papava, V. “The Essence of Economic Reforms in Post-Revolution Georgia: What about the European Choice?” *Georgian International Journal of Science and Technology*, 2008, Vol. 1, Issue 1.

19 მესხია, ი. „ცხოვრების დონე და სიღარიბე საქართველოში“, *საქართველოს ეკონომიკური ტენდენციები*, 2008, მაისი; პაპავა, ვ., 2009. „სიღარიბის შემცირება კერძო სექტორის განვითარების გზით: ქართული სინამდვილე და პერსპექტივები“, წიგნში: *საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები*, ტომი 7, რ. ასათიანის და ლ. ჩიქავას რედაქციით. თბილისი: სიახლე.

20 *Extraordinary European Council, Brussels. 1 September, 2008, 12594/08. Presidency Conclusions*. Brussels: Council of the European Union, 2008, www.consilium.europa.eu/ueDocs/cms_Data/docs/pressData/en/ec/102545.pdf.

21 *Georgia: Letter of Intent, Memorandum of Economic and Financial Policies, and Technical Memorandum of Understanding*. September 9. Washigton, DC: The International Monetary Fund, 2008, www.imf.org/External/NP/LOI/2008/geo/090908.pdf.

22 Чубайс, А. «Миссия России в XXI веке», Независимая газета, 1 октября, 2003, www.ng.ru/printed/ideas/2003-10-01/1_mission.html.

23 Papava, V. and Starr F. “Russia’s Economic Imperialism,” Project Syndicate, January 17, 2006, www.project-syndicate.org/commentary/russia-s-economic-imperialism.

24 იქვე.

25 იქვე.

26 პაპავა, ვ. და თაფლაძე თ. „ლიბერალური იმპერიის“ რუსული მოდელი და პოსტრევოლუციური საქართველოს გამოცდილება“, *ეკონომისტი*, 2009, № 1, გვ. 24.

27 ”ანტირუსული რიტორიკა და რუსული ინვესტიციები”, *ლიბერალი*, 23 აპრილი, 2011, www.liberali.ge/ge/liberali/articles/106159/.

28 Papava, V. “Anatomical Pathology of Georgia’s Rose Revolution.” *Current Politics and Economics of the Caucasus Region*, 2009, Vol. 2, Issue 1, pp. 8-9.

29 Papava, V. “The “Rosy” Mistakes of the IMF and World Bank in Georgia,” *Problems of Economic Transition*, 2009, Vol. 52, No. 7, pp. 48-49.

30 Papava, V. “Anatomical Pathology of Georgia’s Rose Revolution,” pp. 11-12.

31 იქვე.

32 იქვე. გვ. 4-5.

33 იქვე. გვ. 9.

34 „მთავრობა საქართველოს გლობალურ ფინანსურ ცენტრად ჩამოყალიბებას იმედოვნებს“, *Civil.Ge*, 28 იანვარი, 2008, http://civil.ge/geo/article.php?id=17390.

35 „სააკაშვილის თქმით, საქართველო 5–7 წელიწადში დუბაის დაემსგავსება“, *Civil.Ge*, 22 ივნისი, 2010, http://civil.ge/geo/article.php?id=22876.

36 „სააკაშვილი მმართველი პარტიის ხედვაზე“, *Civil.Ge*, 15 ივნისი, 2010, http://civil.ge/geo/article.php?id=22857.

37 „სააკაშვილი: საქართველო – შვეიცარია სინგაპურის ელემენტებით“, *Civil.Ge*, 9 მარტი, 2010, http://civil.ge/geo/article.php?id=22446.

38 *Fighting Corruption in Public Services. Chronicling Georgia's Reforms*. Washington DC: The World Bank, 2012.

39 Papava, V. "Georgia's Macroeconomic Situation Before and After the Rose Revolution," *Problems of Economic Transition*, 2005, Vol. 48, No. 4.

40 Gurgenidze, L. "Georgia's Search for Economic Liberty: A Blueprint for Reform in Developing Economies," *American Enterprise Institute for Public Policy Research, Development Policy Outlook*, No. 2, June, 2009, www.aei.org/outlook/foreign-and-defense-policy/regional/europe/georgias-search-for-economic-liberty; Udensiva-Brenner, M. "Kakha Bendukidze Analyzes Georgia's Economic Strategy: How Georgia Handled Its Economy After the War and the Economic Crisis," *At The Harriman Institute*, April 7, 2010, www.harrimaninstitute.org/MEDIA/01716.pdf.

41 *The Big Eviction. Violations of Property Rights in Georgia*. Tbilisi: Human Rights Information and Documentation Center, 2008, www.humanrights.ge/admin/editor/uploads/files/Big%20Eviction.pdf.

42 Rimple, P. *Who Owned Georgia*. Tbilisi: Transparency International Georgia, Open Society Georgia Foundation, 2012, http://transparency.ge/sites/default/files/post_attachments/Who%20Owned%20Georgia%20Eng.pdf.

43 *კონკურენციის პოლიტიკა საქართველოში.* თბილისი: საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, 2012, http://transparency.ge/post/report/tig-aqveynebs-kvlevas-konkurenciaze-sakartveloshi.

44 გუჯარაიძე, ნ. *სახელმწიფო ქონების პრივატიზების აგრესიული პოლიტიკა ანუ "პრივატიზება ქართულად" — 2.* თბილისი: მწვანე ალტერნატივა, ღია საზოგადოება – საქართველო, 2010, www.greenalt.org/webmill/data/file/publications/PRIVATIZATION_REPORT_2010.pdf; უჯარაიძე, ნ., ბარბაქაძე კ., გუჯარაიძე კ., მჭედლიშვილი რ. და კახაბერი რ. *სახელმწიფო ქონების პრივატიზების აგრესიული პოლიტიკა ანუ "პრივატიზება ქართულად".* თბილისი: მწვანე ალტერნატივა, ღია საზოგადოება – საქართველო, 2007, www.greenalt.org/webmill/data/file/publications/Privatizeba-Geo7.pdf; ნებაყო-

ფლობითი ჩუქება თუ სახელმწიფო „რეკეტი“. *საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო*, 22 აპრილი, 2013, http://transparency.ge/blog/nebaqoplobiti-chukeba-tu-sakhelmtsipo-%E2%80%9Ereketi%E2%80%9C; „პრეზიდენტთან დაკავშირებით გაწეული ხარჯები საჯარო გახდა“, *Civil.Ge*, 18 აპრილი, 2013, http://civil.ge/geo/article.php?id=26781; Anjaparidze, Z. "Georgian Government Questioned about Secret Funds," *Eurasia Daily Monitor, The Jamestown Foundation*, 2006, Vol. 3, Issue 71, April 12, www.jamestown.org/single/?no_cache=1&tx_ttnews%5Bswords%5D=8fd5893941d69d0be3f378576261ae3e&tx_ttnews%5Bany_of_the_words%5D=Anjaparidze%2C%20Zaal&tx_ttnews%5Bpointer%5D=1&tx_ttnews%5Btt_news%5D=31572&tx_ttnews%5BbackPid%5D=7&cHash=864959a53b.

45 Jones, S. F. *Democracy in Georgia: Da Capo?*, Cicero Foundation Great Debate Paper, No. 13/02, April, 2013, p.4, www.cicerofoundation.org/lectures/Stephen_Jones_Georgia.pdf.

46 Jobelius, M. "Georgia's Authoritarian Liberalism," *South Caucasus—20 Years of Independence*. Tbilisi: Friedrich-Ebert-Stiftung, 2011, http://library.fes.de/pdf-files/bueros/georgien/08706.pdf.

47 დე ვაალი, თ. *საქართველოს არჩევანი. მომავლის დაგეგმვა გაუტკივლობის პერიოდში*, გვ. 13; Papava, V. "Anatomical Pathology of Georgia's Rose Revolution".

48 Jones, S. F. *Democracy in Georgia: Da Capo?*, pp. 8-10.

49 Kobzova, J. "Georgia's Bumpy Transition: How the EU Can Help," *The European Council on Foreign Relations Policy Memo*, April 4, 2013, http://ecfr.eu/page/-/ECFR75_georgia_MEMO_AW.pdf.

50 *100 Days in Power: Rule of Law and Human Rights Conference*. Tbilisi: Transparency International Georgia, February 18, 2013, pp. 9-10, http://transparency.ge/en/node/2791.

51 "ივანიშვილი ბიზნესმენებს შეხვდა", *Civil.Ge*, 6 ოქტომბერი, 2012, http://civil.ge/geo/article.php?id=26073.

52 „ივანიშვილი შრომის კოდექსში წარმოდგენილ ცვლილებებს აკრიტიკებს“, *Civil.Ge*, 7 მაისი, 2013, http://civil.ge/geo/article.php?id=26858.

53 რონდელი, ა. *საქართველო-რუსეთი: უარყოფიდან დადებით გაურკვევლობამდე*. ექსპერტის აზრი № 3. თბილისი: საქართველოს სტრატეგიისა და სერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი, 2013, http://gfsis.org/media/download/library/articles/Expert_Opinion_GEO_3.pdf.

54 სილაევი, ნ. და სუშენცოვი ა. *საქართველო არჩევნების შემდეგ და რუსულ—ქართული ურთიერთობების პერსპექტივები*. მოსკოვი: რუსე-

თის საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფო ინსტიტუტი (უნივერსიტეტი), 2012, გვ. 41, www.mgimo.ru/georgiareport/i/Silaev-Sushentsov_MGIMO-Georgia-Report_Geo.pdf.

55 Papava, V. "Economic Component of the Russian-Georgian Conflict." *The Caucasus & Globalization*, 2012, Vol. 6, No. 1, pp. 65-66.